<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მარტი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ძევერას ქუჩისთვის მშვილდოსნის ქეთევან ლოსაბერიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, ძევერას ქუჩას მიენიჭოს მშვილდოსნის ქეთევან ლოსაბერიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


ავლიან ზურაბაშვილის ქუჩა
ჯორჯ ბუშის ქუჩა
დოესის ქუჩა
ანყურის ქუჩა
ანყურის ქუჩა
ზინდიხის ქუჩა
ლეს ბანინბეის ქუჩა
ქეთევანის ქუჩა
ქეთევანის ქუჩა
ქეთევანის ქუჩა
ბარბაბეთის ქუჩა
ცუცხვათის ქუჩა
ანყურის ქუჩა
ანყურის ქუჩა
ანყურ

საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაცია
ს.კ. : 204985196
მისამართი: 0160. ქ.თბილისი, ვ.ფშაველას გამ.16/10/10.

The National Archery Federation of Georgia
RI: 204985196
Address:V.Pshavela av.16/10/10. Tbilisi.0160.GEO.

№ 171/2022
26.11.2022

ქ. თბილისის საკრებულოს თავჯდომარეს
ბატონ **გიორგი ტყემელაძეს**

საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული
ფედერაციის პრეზიდენტის **სიმონ ნოზაძის**

განცხადება

ბატონო გიორგი, საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის სახელით მოგმართავთ თხოვნით, ქ. თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ლეგენდარული სპორტსმენის - მშვილდოსნობაში 1980 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის (დღემდე ევროპაში ერთადერთი ქალი-ოლიმპიური ჩემპიონი), მსოფლიოს ორგზისა და ევროპის სამგზის ჩემპიონის, საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პირველი და მისი საპატიო პრეზიდენტის - **ქეთევან ლოსაბერიძის** სახელი, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

საქართველოს მშვილდოსნობის
ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **ს. ნოზაძე**

26.11.2022. ქ.თბილისი.

ბიოგრაფია

ლეგენდარული სპორტსმენი - **ქეთევან ბაგრატის ასული ლოსაბერიძე**, დაიბადა 1949 წლის 01 აგვისტოს, ტყიბულის რაიონის სოფ. კიროვში. რამდენიმე წელში საცხოვრებლად გადავიდა ქ. ქუთაისში და 1965 წელს დაამთავრა ქ. ქუთაისის 8 საშუალო სკოლა, რის შემდგომ, იმავე წელს სწავლა გააგრძელა ქ. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე - მათემატიკის სპეციალობით (დაამთავრა 1970 წელს). ამავე ინსტიტუტში ფუნქციონირებდა მშვილდოსნობის სექცია - მწვრთნელი შალვა ჯაშიაშვილი. ფიზიკური კულტურის ერთ-ერთ ლექციაზე შ. ჯაშიაშვილმა შეარჩია რამდენიმე გოგონა, რომელსაც ჰქონდა საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობა (მხედველობა) და ფიზიკური მომზადება, მათ შორის იყო ქ. ლოსაბერიძეც. ინსტიტუტში სწავლის პარალელურად, იგი აქტიურად ვარჯიშობდა მშვილდოსნობაში. 1967 წელს ქ. ლოსაბერიძე გახდა საქართველოს ჩემპიონი, რის შემდეგ გაგრძელდა მისი სპორტული წარმატება. 1971 წელს იგი მიიწვიეს სსრკ მშვილდოსნობის ნაკრების შემადგენლობაში. შეკრებების დროს მას ავარჯიშებდა და წვრთნიდა ნაკრების მწვრთნელი - არსენ ბალოევი.1972 წელს ქ. ლოსაბერიძემ, სსრკ ნაკრებთან ერთად მონაწილეობა მიიღო არაერთ საერთაშორისო ტურნირში. XX ოლიმპიური მიუნხენის (გერმანია) ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა მე-4 ადგილი. იმავე წელს, ევროპის ჩემპიონატზე (ვალფერდანჟი, ლუქსემბურგი) მოიპოვა აბსოლუტური ჩემპიონობა და გუნდური ოქროს მედალი. 1973 წელს სსრკ ნაკრებთან ერთად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი (გრენობლი, საფრანგეთი) და საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი. დაამყარა რამდენიმე მსოფლიო რეკორდი და გაიმარჯვა არაერთ საერთაშორისო შეხვედრაზე.

1973 წელს ქ. ლოსაბერიძე დაოჯახდა (მეუღლე - იური გვეტაძე) და საცხოვრებლად გადავიდა ქ. თბილისში. 1974 წლის იანვრიდან მუშაობა დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი მათემატიკის კათედრაზე, მათემატიკის პედაგოგად. 1974 წლის ბოლოს მან საკუთარი გადაწყვეტილებით, ოჯახური პირობების გამო გადაწყვიტა თავი დაენებებინა სპორტული მოღვაწეობისათვის, რის გამოც განცხადებით მიმართა სსრკ ოლიმპიურ კომიტეტს და ითხოვდა სსრკ ნაკრების წევრობიდან განთავისუფლება.

1978 წელს ქ. ლოსაბერიძე კვლავ დაუბრუნდა მშვილდოსნობას, ვინაიდან თვლიდა, რომ გააჩნდა საკმარისი ენერგია და ძალა, მიეღწია სპორტული წარმატებებისთვის. იმავე წელს, ევროპის ჩემპიონატზე (სტოუნლეიჯი, დიდი ბრიტანეთი) მოიპოვა გუნდური ოქროს მედალი. ინტენსიური ვარჯიშის და შეჯიბრებებზე მიღწეული წარმატებების შედეგად კვლავ მოხვდა სსრკ ნაკრების

შემადგენლობაში და დაიწყო მზადება მოსკოვის XXII მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისათვის. 1980 წელს იგი კვლავ გახდა ევროპის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (კომპეინი, საფრანგეთი), ხოლო 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე, ინდივიდუალურ ასპარეზობაში დააგროვა ქულათა მაქსიმუმი, მოიპოვა ოქროს მედალი და გახდა **ზაფხულის XXII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მშვილდოსნობაში. ქეთევან ლოსაბერიძე პირველი და ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი ქალია მშვილდოსნობაში ევროპის კონტინენტიდან.**

1981 წელს მან მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ჩემპიონატში (პუნტა-ალა, იტალია), სადაც მოიპოვა გუნდური ოქროს მედალი.

1982 წელს ქ. ლოსაბერიძეს შეეძინა ქალიშვილი - თინათინი, რის შემდგომ თავი დაანება აქტიურ სპორტულ კარიერას. 1974-2005 წლებში ქ. ლოსაბერიძე მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკის პედაგოგად.

2002-2005 წლებში იყო საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პირველი პრეზიდენტი და შემდგომში მისი საპატიო პრეზიდენტი (გარდაცვალებამდე).

ქეთევან ლოსაბერიძე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით (2003), საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორდენით - (2003), ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენითა (2018) და ხალხთა მეგობრობის ორდენით. 2021 წელს მიენიჭა ქ. ტყიბულის საპატიო მოქალაქის წოდება.

ქეთევან ლოსაბერიძე გარდაიცვალა 2022 წლის 23 იანვარს, ქ. თბილისში.

სპორტული მიღწევები:

- **ოლიმპიური ჩემპიონი** (ქ. მოსკოვი, 1980; 2491 ქულა);
- მიუნხენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (1972; IV ადგილი);
- მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1973, 1981);
- ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი (1972);
- ევროპის ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1972, 1978);
- სსრკ ორგზის ჩემპიონი (1973, 1979);
- სსრკ ხუთგზის მესამე (ბრინჯაოს) პრიზიორი (1971, 1972, 1974, 1975, 1981);
- სსრკ თასის მფლობელი (1972, 1978);
- სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის მეორე (ვერცხლის) პრიზიორი (1979);
- საერთასორისო ტურნირების ჩემპიონი - მილანი (1975, 1980), ლოძი (1976), კიოლნი (1978) და ლვოვი (1981);
- 6 მსოფლიო რეკორდის მფლობელი

ჯილდოები:

- 2021 - ქ. ტყიბულის საპატიო მოქალაქე;
- 2018 - ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი;
- 2003 - ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი;
- 2003 - საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორდენი;
- 1999 - საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვაში ქეთევან ლოსაბერიძე XX საუკუნის მეოთხე საუკეთესო ქალ სპორტსმენად დასახელდა;
- 1980 - სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი;
- 1971 - სსრკ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი;
- ხალხთა მეგობრობის ორდენი

01227003952

საქართველო
გარდაცვალების მოწმობა

N 01227003952

1	სახელი **ქეთევან**		
2	გვარი **ლოსაბერიძე**		
3	სქესი **მდედრობითი**		
4	მოქალაქეობა **საქართველო**	5	პირადი ნომერი **01008020314**
6	დაბადების თარიღი **1 აგვისტო 1949 წელი**		
7	დაბადების ადგილი **საქართველო, ტყიბული,**		
8	გარდაცვალების თარიღი **23 იანვარი 2022 წელი**		
9	გარდაცვალების ადგილი **საქართველო, თბილისი**		
10	გარდაცვალების რეგისტრაციის თარიღი **24 იანვარი 2022 წელი**	11	აქტის ჩანაწერი **N 01227001605**
12	მოწმობის გაცემის თარიღი **25 იანვარი 2022 წელი**		
13	მოწმობის გამცემი ორგანო **სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახური**		

ხელმოწერილია
ან/და შტამპდასმულია
ელექტრონულად

უფლებამოსილი პირი: **ხათუნა გედევანიშვილი**

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ იუსტიციის სახლი
ელექტრონული დოკუმენტის მატერიალური ასლი
სახელი/გვარი ..ნინო . მოგოლია.....
თანამდებობა იუსტიციის სახლის სპეციალისტი მკმ.
032 "25" 01 20.22 წ.
ხელმოწერა .....ნ. მოგოლია.....

დოკუმენტი არის ელექტრონული. სააგენტოს ვებ გვერდზე (http://sda.gov.ge) შესაძლებელია გადამოწმდეს ინფორმაცია - მოქმედია თუ არა მოწმობა. ამ დოკუმენტის ვებ გვერდიდან (http://sda.gov.ge) ჩამოტვირთვა შესაძლებელია ACT0521603333 ნომრით 1 წლის განმავლობაში.



ქეთევან ლოსაბერიძე

(1949-2022)

პირველი და ერთადერთი ევროპელი ოლიმპიური ჩემპიონი მშვილდოსანი ქალი. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი 1970 წელს. 2002-2005 წლებში ქეთევან ლოსაბერიძე საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი იყო. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით (2018) და ხალხთა მეგობრობის ორდენით.

მას ჰქონდა არაერთი ჯილდო და მედალი :

1971 წელს მიენიჭა სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება;

1980 წელს დასახელდა საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად (სპორტულ ჟურნალისტთა კავშირი);

იყო მილანის (1975, 1980), ლოძის (1976), კიოლნისა (1978) და ლვოვის (1981) საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული;

1972 წელს და 1978 წელს გახდა სსრ კავშირის თასის მფლობელი;

1973 და 1979 წლებში გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი;

იყო ევროპის ჩემპიონი: 1972 (პირადი, გუნდური), 1978 (გუნდური), 1980 (გუნდური) შეჯიბრებებში;

ოლიმპიური ჩემპიონი: 1980 (მოსკოვი)

1972 წელს მიუნხენის ოლიმპიური თამაშების IV ადგილის პრიზიორი ;

მსოფლიოს ჩემპიონი: 1973 (გუნდური), 1981 (გუნდური)შეჯიბრებებში.

გარდაიცვალა 2022 წელს.